ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6660525

ნომერი: AR1989391

თარიღი : 12.09.2023

გაცემის თარიღი : 13.09.2023

გაცნობის თარიღი : 15.09.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცაცხვების ქუჩა, N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ნუცუბიძე პ/ნ 01005013245
- ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის 195

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 ნოემბრის №6218346 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 12 სექტემბერს №AR1989391 განცხადებით მომართა პაატა ნუცუბიძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 22

ნოემბრის №6218346 გადაწყვეტილებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 7 ნოემბრის №6197585 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ცაცხვების ქუჩა №12-ში მდებარე №01.10.18.009.083 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 22 ნოემბრის №6218346 გადაწყვეტილებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 22 ნოემბრიდან 2025 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დამკვეთად დაფიქსირდა დავითი ფურცხვანიძე (პ/ნ: 60001028921).
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 22 ნოემბრის №6218346 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის ფურცხვანიძის (პ/ნ: 60001028921) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს „ლისი ფიჭვების“ (ს/ნ: 405582472) დაფიქსირებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882023976893, მომზადების თარიღი: 12/09/2023 წ., 10:19:06) თანახმად №01.10.18.009.083 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „ლისი ფიჭვები“ (ს/ნ: 405582472). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22153395, მომზადების თარიღი: 02/12/2022 წ.) თანახმად, შპს „ლისი ფიჭვების“ (ს/ნ: 405582472) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ბათია ჯანაძე (პ/ნ: 60001139827). ხოლო, მის მიერ 2023 წლის 9 იანვარს გაცემული №230012337 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის - პაატა ნუცუბიძის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.10.18.009.083 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ლისი ფიჭვები“ (ს/ნ: 405582472), რომლის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირიც მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2022 წლის 22 ნოემბრის №6218346 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „ლისი ფიჭვების“ (ს/ნ: 405582472) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 ნოემბრის №6218346 გადაწყვეტილებაში და დამკვეთად დავითი ფურცხვანიძის (პ/ნ: 60001028921) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ლისი ფიჭვები“ (ს/ნ: 405582472) .
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 ნოემბრის №6218346 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 ნოემბრის №6218346 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.